№ 22
შაბათი, 30 იანვარი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 22
შაბათი, 30 იანვარი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარია
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის მე-VIII კლასის მოსწავლენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას თავიანთის ამხანაგის, მე-VIII კლასის მოსწავლის

## თავად ვლადიმერ ფავლენიშვილისა.

პანაშვიდი გარდახდილი იქმნება კვირას, 31 იანვარს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.
(1—11—1)

ქართველ-ქალთა ამხანაგობის

## სახელოსნო-სამკერვალო

(ბარონის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლებში № 12).

მსურველთ შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ სასწავლებლად.

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

Y. YERMOREL

constructeur Villefranche (Rhone) ვაზის შესასხურებელი მანქანა „ეკლერ“ და გოგირდის შესაყრელი მანქანა „ტორპილი“. (10—2)

## შაბიამანი

*macclesfield*

ერთად-ერთი წარმომადგენელი მთელის რუსეთისა და კავკასიისა. მ. ფრიდლონოვი. ტფილისში.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. აკუშერო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ფ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანსიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^{1}/_{4}$—$2^{1}/_{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^{1}/_{2}$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ)

ნოტარიუსის

## ლევან მღებროვის კანტორა

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში, № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში.

ტელეფონი № 620.
(30—6.—7)

## ვკისრულობ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

რაც შეიძლება ჩქარა ვასრულებ საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის.

ალექსანდრე გრიგორის ძე სნეჟკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567.
(20—3—8).

ქ. ქუთაისი

## ექიმი ნ. გ. ჭიჭინაძე

იღებს ავადმყოფებს
(ლევაშოვის ქუჩაზედ, პეტრე ხარაზოვის სახლში, № 13).

დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდის. (—6.—6)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძა კაპიტნობა—ავარის ზურგის ბატალიონის შტაბს-კაპიტანს თავად აბაშიძეს.

დანიშნულ იქმნა ქ. ტფილისის მე-5 ნაწილის ბოქაულის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ბაბალოვი—გორის მაზრის ხიდისთავის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

—

*** მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა ნება დართო მიეცეს სოფ. საქარის გლეხს მ. ცერცვაძეს საქარის ამერიკულის ვაზის სანერგედგან 6,000 ამერიკული ვაზი, ისე-კი, რომ ცერცვაძემ ფული ნაწილ-ნაწილ გადაიხადოს. ცერცვაძეს აზრადა აქვს თურმე გამართოს საკუთარი სანერგე ამერიკულის ვაზისა. საჭირო მიწა სანერგისათვის ცერცვაძეს უკვე მოუმზადებია.

*** დღეს, 30 იანვარს, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია კრება საბჭოს საგანგებო კომისიისა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, ქალაქმა როგორ უნდა სახსოვარ ჰყოს ასის წლის შესრულება ტფილისში რუსეთის მმართველობის შემოღებისა.

*** გუშინ, 29 იანვარს, საბჭოს სამოსწავლო კომისიამ განიხილა თხოვნები ტფილისის ორის წიგნთ-საცავის პატრონებისა—ქ-ნ კაიდანოვისა და ქ. სუნდუკიანცისა. პირველს 100 მანათი ეძლევა წელიწადში და მეორეს—200 მან. ორთავენი სთხოვდნენ კომისიას მეტი შემწეობა მოგვეციოთო. კომისიამ ეს თხოვნები არ შეიწყნარა.

# ფელეტონი

—

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“ № XII 1898 წლისა.

ყველა ჟურნალ-გაზეთის გამომცემლები იმას სცდილობენ, რომ წლის დასასრულს, უკანასკნელი ნომრები ჟურნალ-გაზეთების შეძლებისადაგვარად საინტერესო და უნაკლულო იქმნას, რომ მოიპოვოს მკითხველთა შორის სასურველი ბაზარი. რეკლამაა ეს, თუ სხვა გარემოება, ამის განმარტებას ჩვენ არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ამ საზოგადო მოვლენით ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქციაც ჰსარგებლობს, როგორც სჩანს ხსენებულის ჟურნალის მეთორმეტე წიგნიდგან. ამ წიგნში მოქცეულია დროს შესაფერი მოთხრობები, რომელსაც შეუძლიან ცოტად თუ ბევრად აღუძრას „ჯეჯილის“ მკითხველებს გრძნობა მოყვსის სიბრალულისა და სიყვარულისა. ამისთანა მოთხრობებს ეკუთვნის: „შაქროს სიზმარი“ და „ორი მეგობარი“. შინაარსი ამ ორის მოთხრობისა თითქმის ერთი და იგივეა, ასე რომ მკითხველი იფიქრებს, ვითომ ერთის მოთხრობის გავლენით იყოს მეორე დაწერილი, მაგრამ ამ ორს მოთხრობაში განსხვავებაც დიდია უმთავრესი გმირი მოთხრობისა „ორი მეგობარი“-სა ვახტანგი ჩვეულებრივი ბავშვია, ისეთი ბავშვი, როგორსაც ითხოვს ბავშვის აგებულება, მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა და ამიტომ ეს მოთხრობაც უფრო ბუნებრივია და ბავშვების ცხოვრებასთან დაახლოვებული. მეორე მოთხრობაში—„შაქროს სიზმარ“-ში დახატულია უფრო იდეალური ტიპი ბავშვისა, ვიდრე ბუნებრივი, ამ ტიპის წარმომადგენელი ბავშვი სრულიად მორჩილია უფროსებისა, უკლებლად აღმასრულებელი სკოლის წესდებისა ასე, რომ შაქროს „რაც უნდა კარგი (?) ქართული ან რუსული წიგნი ენახა, ის უეჭველად მასწავლებლის ნებართვით (?) იყიდდა, წირვა-ლოცვას არასოდეს არ აკლდებოდა, ყველაზედ ადრე, საეკკლესიო ზარის დარეკამდის(?), მიდიოდა საყდარში, ღვთის მსახურების დროს მოწიწებით და მოკრძალებით იდგა და ღმერთს გულმხურვალედ ევედრებოდა“. თუმცალა ავტორის მიერ დახატული ტიპი ბავშვისა ცხოვრებაში იშვიათია, მაგრამ ხსენებულს მოთხრობას შეუძლიან დააფიქროს მკითხველები და აღუძრას კეთილი გრძნობანი. თვითონ სიზმარი შაქროსი ფსიხოლოგიურად წარმოადგენს სწორესა და სამართლიანს მოვლენას. სკოლის შეგირდები ხსენებულის სიზმრის საშუალებით გაიმეორებენ ბევრს ცნობებს საღმრთო წერილიდგანაც.

ამ ორ მოთხრობას გარდა „ჯეჯილის“ უკანასკნელ მეთორმეტე ნომერში დასტამბულია კიდევ ორი ნათარგმნი მოთხრობა: „ფული არ არის ბედნიერება“ და „წყარო“ (სომხურიდგან). პირველის მოთხრობის აზრია გააცნოს, დაანახვოს პატარა მკითხველებს ცხოვრებიდგან აღებულის მაგალითებით, რომ ბედნიერება ადამიანისა სიმდიდრე-კი არა, არამედ ჯანსაღობაა. ამ სამართლიან აზრს ბავშვი ადვილად შეითვისებს ხსენებულის მოთხრობიდგან, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ ადამიანის ბედნიერებას მარტო ჯანის სისაღე არ შეადგენს. ურიების მეფე სოლომონ ბრძენი ჯანის სისაღის მომდურავე არ იყო, მაგრამ თავისის მეფობის დასასრულს თავ-აღებულმა ცხოვრებამ და სინიდისის ქენჯნამ სამართლიანად ათქმევინა ერთს თავისს წიგნში, რომ არც სიმდიდრე და არც სახელი ბედნიერებას არ შეადგენს კაცისათვისო; ბედნიერება მხოლოდ სინიდისის სიმშვიდეში მდგომარეობსო. ამ ნაირად ადამიანისათვის ბედნიერებას შეადგენს როგორც ჯანის სიმართლე, აგრეთვე სულის, სინიდისის სიმშვიდეც, როგორც სამართლიანად შენიშნა ბრძენმა მეფემ. ამ უკანასკნელის აზრის გატარებით ხსენებულს მოთხრობაში მკითხველები უეჭველად შეიძენდნენ სამართლიანს შეხედულობას და მტკიცე აზრს იმის შესახებ, თუ რა შეადგენს ბედნიერებას ყოველის კაცურის კაცისათვის.—

„წყაროს“-ის დედა-აზრი აქვს, თუ რა ცუდი შედეგი მოელის ისეთს ადამიანს, რომელიც წურბელავობს, სხვისის დახმარებით თვითონ მდიდრდება და გაჭირვებულს ერთს წვეთს წყალსაც არ აწვდის. ენა თარგმანისა სუსტობს. მოკლე შინაარსი ხსენებულის მოთხრობისა ეს არის:

სომხები მტრებს გაექცევიან და დასახლდებიან ისეთს ადგილას, სადაც წყლის სახსენებელიც არ მოიპოვება. ერთი მათგანი ჰაგა გამოცდილი და შორს გამჭვრეტი კაცია, ის მიჰყობს ხელს ჭის თხრას. ამ საქმეში მეზობლებიც მიეშველებიან და მალე კარგს წყაროს აღმოაჩენენ, მაგრამ ჰაგა მეზობლებს მუქთად წყალს არ ანებებს, პირ-იქით, წყლის გამო ჰაგა თავისს მეზობლებს ყურმოჭრილყმებად გაიხდის, იგი მხიარულობს სხვისის მწუხარებით, მაგრამ კარგი ბოლო არც ჰაგას მოელის. ერთხელ, როცა ჰაგას ეზოს რკინის კარები მაგრად ჩაკეტილი იყო, მოვიდა კოკიპირული წვიმა, აივსო წყლით ეზო, შევიდა წყალი სახლში და დაარჩო ჰაგა თავისი ოჯახობით. აქედგან გამოდის შემდეგი ზნეობრივი მოძღვრება: შენი სიმდიდრე სხვებსაც უნდა გაუზიარო, რომ ბოლო კეთილად მოგელოს. ამ აზრის წინააღმდეგს ჩვენ არაფერს ვიტყვით, რასაკვირველია, ყველა მდიდარი ვალდებულია არასოდეს არ ივიწყებდეს გაჭირვებულს მოყვასს და ჰშველოდეს ღარიბ-ღატაკებს როგორ და რითაც შეუძლიან. მოთხრობაში არ არის მოყვანილი პასუხი შემდეგს საჭირო კითხვაზედ, რომელიც უნებლიედ დაებადება ყველა მკითხველს ხსენებულის მოთხრობისას. რად გაუხდნენ მეზობლები ყურ-მოჭრილ ყმებად ჰაგას და თვითონვე ვერ გამოსძებნეს ისეთი წყარო, როგორიც ჰაგამ აღმოაჩინა თავდაპირველად? ჰაგა წურბელაა, რომელიც დაურიდებლად სწოვს სისხლს თავისს მეზობლებს, მაგრამ მეზობლებიც არ უნდა იყვნენ ისეთი ცხვრები, რომ თავის თავად არ იღონონ რამე და ისე დაებრიყვნენ თავიანთ სისხლის მწოველს. შეიძლება „წყარომ“ შეიძლოს სასურველი გავლენის მოხდენა მოზრდილს მკითხველებზედ და ამიტომ ამისთანა მოთხრობები დასტამბული უნდა იქმნას, რომელსამე ჟურ-

*** გუშინ ქალაქის გამგეობის საბჭოს დარბაზში კრება ჰქონდა საბჭოს კომისიას. ამ კრებაზედ მიწვეულნი იყვნენ ხმოსანი მ. ს. შესტაკოვი და ქალაქის გამგეობის წევრნი თ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი და ე. ე. ხოსროევი. კომისიას საგნადა ჰქონდა გარდაეწყვიტა საბჭოს გადაეცეს, თუ მედიატორთა სასამართლოს განხილვა იმ უთანხმოებისა, რომელიც მოხდა ქალაქის მოურავის ბ-ნის ევანგულოვისა და გამგეობის წევრის თავ. არღუთინსკი დოლგორუკოვის შორის. კომისიამ ამათ გამოუცხადა, რომ მედიატორებად არჩეულნი არიან ბ-ნი ნ. ა. სმიტენი, თავ. ვ. ს. მიქელაძე და ვ. ნ. ივანენკო.

*** უგანათლებულესის თავ. ნ. დ. მინგრელსკის საქმე, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ედავება, სამოსამართლო პალატას 28 იანვარს უნდა განეხილა, მაგრამ პალატამ ამ საქმის განხილვა 11 თებერვლისათვის გადასდო, რადგანაც რკინის გზის გამგეობას ამ საქმის შესახები ზოგიერთი საბუთის ქაღალდი აქვს მისაღები პეტერბურგიდგან.

*** ქ. ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიამ უკვე განიხილა ქ. ტფილისის ამა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯთ-აღრიცხვით წელს ქალაქს შემოსავალი ექმნება სულ 1,158,944 მანეთი; სხვათა შორის დაფასების გარდასახადისაგან—311,615 მან., სავაჭრო დაწესებულებებიდგან—116,621 მან., ცხენების გარდასახადიდგან—29,452 მან., ქალაქის მამულებიდგან — 104,760 მან., ქალაქის შენობებიდგან — 345,022 მან. და სხვა.

*** ქალაქის გამგეობაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ქალაქმა შეიძინოს ის სახლი, სადაც ქალაქის უმთავრესი სამკურნალო არის მოთავსებული.

*** ქალაქის გამგეობის მოხელეთ უნდოდათ შეესყიდათ ვერის იქით ადგილი ნუგზაროვისა, რომ მერე ზედ სახლები აეშენებინათ. ამ საქმისათვის კომისიაც დაარსდა. კომისიამ განიხილა ეს ადგილი და დარწმუნდა, რომ სახლების ასაშენებლად უვარგისია, რადგანაც იმ ადგილას ციება უნდა იყოსო. გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ ნუგზაროვს დიდი ვალი ჰქონია და ზოგიერთ მოვალეებს კიდეც შეუკრავთ ეს ადგილი. კომისიამ გადასწყვიტა უარი სთქვას ამ ადგილის ყიდვისა და სხვა ადგილი აირჩიოს.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრება მოხდება ოთხშაბათს, 3 თებერვალს.

*** 2 თებერვალს „ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში „მასწავლებელ ქალთა ურთ-ერთ დამხმარებელი საზოგადოება“ გაჰმართავს სალიტერატურო და სამუსიკო ღილას.

*** სახელმწიფო საბჭომ დაადგინა: 1, გადასდოს ხაზინიდგან 1899 წლიდგან დაწყობილი სამის წლის განმავლობაში 1950 მანეთი წლიწადში იმ თანხის მისამატებლად, რომელიც ხაზინიდგან ეძლევა ახალციხის ოთხ-კლასიან სამოქალაქო სასწავლებელს და გაანთავისუფლოს ქ. ახალციხე ამ ფულის გაღებისაგან. 2, გაანთავისუფლოს ხსენებული ქალაქი იმ დარჩენილ გადასახადისაგან, რომელიც ადგილობრივ სასწავლებლისათვის უნდა მიეცა წარსულ წლებში; 3, გადაკეთებულ იქმნას 1899 წლის პირველ ივლისიდგან ქუთაისის გუბერნ. დაბა ხონის ივანე შარაშიძის დედათა ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი მარიამის დედათა სასწავლებლად და მიენიჭოს ივანე შარაშიძეს ამ სასწავლებლის საპატიო ზედამხედველობა; 4, გადადებულ იქმნას ხაზინიდგან ხსენებულ სასწავლებლის სასარგებლოდ 3000 მანეთი წლიწადში.

*** გუშინ, 29 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზედ, პირველი სახალხო მატარებელი წავიდა ახლად გაყვანილს ტფილის-ყარსის რკინის გზაზედ. მატარებლები ივლიან მხოლოდ სად. კარაკლისამდე, რადგანაც აქამდეა გზა დამთავრებული. მატარებელი კვირაში ორჯელ ივლის—პარასკეობით და სამშაბათობით. ტფილისიდგან მატარებელი ნაშუადღევის 4 საათზედ გავა ხოლმე.

*** ხე-ტყის გამშენებელ კომისიას განზრახვა აქვს შეუდგეს ბაღის გაშენებას იმ მოედანზედ, რომელიც სძევს ავჭალის ქუჩისა და გერმანელთა სასაფლაოს შუა. ბაღი გაშენდება 200 ოთხ. კ. საჟენის სივრცეზედ. იმავე კომისიას განზრახვა აქვს გააშენოს ბაღჩა ავჭალის უფასო სასადილოს შენობასთან, სადაც ამჟამად სახალხო წარმოდგენები იმართება.

*** საბაღოსნო საზოგადოების გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ დღეს, 30 იანვარს, საღამოს 7 საათზედ, ცნობების მომცემ ბიუროს სადგომში (გოლოვინის პროს., № 45) მოხდება მეორე საუბარი. საუბრის საგანი ხილის მოყვანა-შენახვა იქმნება.

*** ბათუმიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს: საბჭოს უკანასკნელ კრებაზედ დანიშნული იყო განსახილველად 23 ხმოსანის განცხადება იმის შესახებ, რომ მოემატოთ ჯამაგირი ქალაქის მოურავს—1000 მანეთი და მდივანს 600 მანეთი. ზოგიერთა ხმოსნებმა უკანონოდ სცნეს ამ საგნის განხილვა. ისინი ამბობდნენ, რომ თანამდებობის კაცნი უკვე ავირჩიეთ, დამტკიცებულ იქმნენ და ეხლა ჯამაგირის მომატებაზედ ლაპარაკი მეტია; ეს საქმე არჩევანებამდე უნდა გადაგვეწყვიტაო. სხვანი ამბობდნენ, ეს განცხადება 23 ხმოსანმა არჩევანებამდე შეიტანა და თუ საბჭოს აქამდის არ განუხილავს, იმათი ბრალი არ არისო. შემდეგ საბჭომ 20 ხმის უმეტესობით 10 ხმის წინაამდეგ დაადგინა შეუდგეს ამ საგნის არსებითად განხილვას. თავმჯდომარეობა გადასცეს ხმ. სევერინს, რომელმაც ისარგებლა რა თავმჯდომარის უფლებით, განაცხადა, რომ ამ საგანს საბჭო ვერ განიხილავსო და ამგვარად იგი უარ-ჰყო.

*** „ტფ. ფურ.“ სწერს: ახალის ბრძანებით პირველ თებერვლიდგან საეჭითალო დარაჯებს ჯამაგირი მიეცემათ თვეში 30 მან. სახალხო სკოლების ზოგიერთი მასწავლებელნი მასწავლებლობას თავს ანებებენ და ამ დარაჯობას რჩეობენ, რადგანაც აქ მეტი ჯამაგირი ეძლევათ. ეს გარემოება კარგად ახასიათებს როგორც თვით მასწავლებელთ, აგრეთვე იმას, თუ ქონებრივად რამდენად დაკმაყოფილებულნი არიან სოფლის მასწავლებელნი.

*** გაზეთ „კავ.“-ს ატყობინებენ: გორის მაზრის სოფლ. ბინარეთის, მაღეთის, შელეურის, კლარცის, გერის, გუჯის, ჰვრივის, კიმასის და სადალეთის მცხოვრებელთ განაჩენით დაუდგენიათ დააარსონ სოფ. გერში ერთ-კლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლა და გადასდონ ამ სკოლის შესანახად წელიწადში 200 მანეთი.

*** გაზ. „კავკ.“-ის სიტყვით მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას ორის წლის ვადა მისცა, რომლის განმავლობაშიაც საზოგადოებამ უნდა მოაწყოს ტფილისის საბაღოსნო სკოლის საქმეები.

*** ოზურგეთი. ქ. თ—ძის თაოსნობით 25 იანვარს აქაურმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს აქ „არსენა“ და ვოდეველი „ახირებულია“. წარმოდგენას ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო და წარმოდგენამაც ცუდათ ჩაიარა; ზოგი რიგიანად ვერ ასრულებდა როლს და ერთმა არც-კი იცოდა თავისი როლი.

*** ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ კრებაზედ დაადგინა გაამრავლოს ქალაქის წყლის მილის მეურნკანეთა რიცხვი.

*** არ იქმნა, არაფერი ეშველა ჩვენს ყასბების ალაგმას! რა ნიხრიც უნდა დააწესოს ქალაქის გამგეობამ, ყასბები თავისას არ იშლიან და მუშტარს რამდენსამე კაპეიკს მაინც მეტს ართმევენ. თუ მუშტარმა პირი შეუბრუნა და უთხრა რამე, ისინა შეურაცხებასაც აყენებენ და ლანძღვა-გინებით ისტუმრებენ. ნუ-თუ ჩვენი ქალაქის გამგე-პატრონნი ისე უღონონი არიან, რომ ვერაფერი მოუხერხებიათ ყასბების წინაამდეგ და ვერ აულაგმავთ იმათი თავ-გასულობა. ყასბები უმეტეს ნაწილად იმას გაიძახიან, რომ ამ ბოლოს დროს საკლავ საქონლის ფასმა ძალიან აიწია, რადგან მაზრებიდგან საქონელს ნაკლებ მორეკავენ ტფილისში. მაგრამ, როგორც ბორჩალოს მაზრის ბეითალი იუწყება, ახალ-ბაიაზეთის მაზრიდგან, მგკალითად, ამ ბოლოს დროს ტფილისში უფრო ბევრს საქონელს მორეკავენ, ვიდრე წინად მორეკავდნენ.

*** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის კანცელარია ქალაქის გამგეობის სადგომში გადაიტანეს.

*** შტაბს-კაპიტანმა მ. ა. ვოინოორანსკიმ, რომელსაც ტფილისის პოლიციმეისტერმა მიანდო ქალაქის მე-X საპოლიციო ნაწილის გამგეობის საქმეთა რევიზიის მოხდენა, უკვე დაასრულა ამ გამგეობის რევიზია და შეუდგა მე-IX ნაწილის გამგეობის საქმეთა რევიზიას.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას გარდაეცა

---

ნალ-გაზეთში და არა საყმაწვილო ჟურნალში, რადგანაც ხსენებულს მოთხრობაში არის, სხვათა შორის, ისეთი ადგილებიც, რომელსაც შეუძლიან ძალიან ცუდად იმოქმედოს პატარა მკითხველებზედ. ამ აზრის დასასაბუთებლად მოვიყვანთ ერთის ცნობილის პედაგოგის აზრს, რომელიც გაგვახსენა ამ მოთხრობამ, რომელსაც ქვემოთ მოყვანილი აზრი სრულიად შეეფერება:

„Произведенія, рисующія кортины несчастій, бѣдствій, жизнь горя, безотрадность человѣческаго существованія, разобьютъ душу читателя вообще, а тѣмъ болѣе читателя маленькаго, у котораго нѣтъ еще никакихъ разсудочныхъ и опытныхъ средствъ для борьбы съ мыслями книги, который въ книгѣ видитъ всю и единственную правду. Горе ребенку, если онъ попадетъ на разсказы о жизни мрачной и свирѣпой, полной зависти, бѣшенства, злодѣйствъ“.

„ჯეჯილის“ მეთორმეტე ნომერში დასტამბულია ორი ლექსი: „ტყის სურათი“ და „სოლოლას ლექსი“. პირველი ლექსი გაგრძელებაა იმ „ტყის სურათისა“, რომელიც დასტამბული იყო „ჯეჯილის“ მეათე წიგნში, რომლის გარჩევის დროს ერთს ადგილას შეცდომით არის ნახმარი სიტყვა „ზამთრის ტყის“ მაგივრად—(„ივერია“ № 2 2). ეს ლექსიც შინაარსის მხრივ კარგია და საბავშვო ჟურნალისთვისაც შესაფერისი. ერთს ადგილას ამ ლექსში დარღვეულია მუსიკალური მხარე ლექსისა, მაგალითებრ:

„შვილებს გულს როგორ აალის,
დაუგინგლავებს, ტვლიპებს,
ან როგორ ანჯობს მათ შაშვებს,
თუნდა ჩხართვებს, გინდა ჩჳიკვებს (?)

უკანასკნელ სტრიქონში ერთი მარცვალი მეტია.—საზოგადოდ-კი მეთორმეტე ნომერს ჟურნალ „ჯეჯილისას“ თუმცაღა ერთფეროვნება ეტყობა მასალის მხრივ, მაგრამ მაინც სიამოვნებით წაიკითხავდნენ პატარა მკითხველები წარსულს უქმეებში. აღსანიშნავია აგრეთვე სურათების სიმცირეც მეთორმეტე ნომერში.

ამით ვათავებთ ჩვენს საუბარს ჟურნალ „ჯეჯილის“ გამო. საჭიროთ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით გადავცეთ მკითხველებს ის საზოგადო მოქმედება, რომელიც მოახდინა ჩვენზედ ხსენებულის ჟურნალის წარსულის წლის ნომრების დაწვრილებით განხილვამ. საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ თავისის აზრის მიხედვით შეგვიძლიან ჩავთვალოთ სუსტ გამოცემად. რასაკვირველია, უნაკლულოდ გამოცემა რომელისამე დროგამოშვებითის ჟურნალ-გაზეთისა და მით უფრო საყმაწვილო ჟურნალისა ძნელია, ისიც ჩვენს დროში, როცა ჩვენი საზოგადოება ნათლის თვალით ვერ შესჩვევია საბავშვო მწერლობას; მაგრამ, ჩვენის აზრით, დიდის მადლობის ღირსია „ჯეჯილის“ რედაქცია, რომელიც მეათე წელიწადია დაუღალავად იღწვის ახალთაობის, ამ ერის მომავალ იმედის სასარგებლოდ. ჩვენ ვიცით ბევრი რუსული საბავშვო ჟურნალი, რომლებიც „ჯეჯილზე“ უფრო სუსტ გამოცემად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ამისდა მიუხედავად „ჯეჯილის“ გაუმჯობესობისათვის საჭიროდ მიგვაჩნია რედაქცია მოიწვევდეს ჟურნალში თანამშრომლად არა ყველას, ვისაც მხოლოდ ანბანი უსწავლია და ორი-სამი ლექსიც გამოუცხვია, არამედ ნამდვილს ნიჭიერს და გამოცდილს მწერლებს, რომელთა რიცხვი, როგორც დავრწმუნდით, საკმაოა ჩვენში. რედაქციაში შეგროვილის მასალისაგან ჟურნალის შესადგენად და მასალის რიგზედ დასალაგებლად საჭიროა სარედაქციო წრე განსაკუთრებით პედაგოგებისა, რომელსაც კარგად უნდა ესმოდეს, რომელსამე მოთხრობას, ლექსს თუ სხვა მასალას რა გავლენა შეუძლიან მოახდინოს მკითხველებზედ. რადგანაც საყმაწვილო ჟურნალებს სხვადა-სხვა წლოვანების მკითხველები ჰყავანან, — ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ სათაურში მოეხსენებინათ, თუ რომელი სტატია ანუ ლექსი რომელ წლოვანების, ასაკის მკითხველისათვის არის შესაფერისი. ამით რედაქცია საშუალებას მისცემს მშობლებსაც წააკითხოს თავიანთ შვილებს ასაკის შესაფერისი მასალა. სარედაქციო წრეს შეუძლიან არჩევით დასტამბოს მასალა ჟურნალში. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ იმისი, რომ დროგამოშვებით „ჯეჯილში“ ნათარგმნი მასალაც იბეჭდებოდეს, მაგრამ უმთავრესი ადგილი აუცილებლად ადგილობრივს ელემენტს უნდა ეჭიროს; უცხო ენის მასალიდგან შეიძლება იბეჭდებოდეს ისეთი მასალა, რომელსაც აქვს საზოგადო საკაცობრიო მნიშვნელობა და არა ისეთი, როგორიც იყო მაგ. „პატარა პუმის თავგადასავალი“, დასტამბული წარსული წლის „ჯეჯილის“ ერთს ნომერში. ადგილობრივი ელემენტი, რომელიც შესდგება სამშობლო ქვეყნის გეოგრაფიულ, ეტნოგრაფიულ და ისტორიულ აღწერილობითა და მოგზაურობით, გააფართოვებს ჟურნალის პროგრამმასაც.

რასაკვირველია, ყველა დროგამოშვებითის გამოცემის არსებობა დამოკიდებულია საზოგადოების იმ თანაგრძნობისაგან, რომელსაც იჩენენ ჟურნალის დაბარებით და ჟურნალზედ ხელის მოწერით, რადგან ეს შეადგენს უპირველესს სახსარს და უმთავრესს საშუალებას ჟურნალ-გაზეთის არსებობისა და ნაყოფიერად წარმოებისას. სამწუხაროდ ჩვენ ხელთ არ გვაქვს საჭირო ცნობები, თუ რამდენად დაიმსახურა ქართველ საზოგადოების ყურადღება ამ ერთად-ერთმა საყმაწვილო ჟურნალმა ჩვენში; ვიცით მხოლოდ, რომ ჟურნალი „ჯეჯილი“ წინად გამოდიოდა თვეში ორჯელ, ამ რამდენისამე წლის განმავლობაში გამოდის ყოველ თვიურად, ამას გარდა შარშანდელ ხელის მომწერლებს რედაქცია ნობათსაც ჰპირდებოდა; ყოველი ეს საბუთს გვაძლევს, რომ ცოტად თუ ბევრად თანაგრძნობა საზოგადოებისა საყმაწვილო ჟურნალის მიმართ თან და თან ჰმატულობს, მაშასადამე ეს თუ ასეა, „ჯეჯილს“ ჯერ ჯერობით უკვე გამოუტანია მოსალოდნელი ნაყოფი, რომელიც იმედია მომავალში უკეთ აღორძინდება და დამწიფდება, თუ კი რედაქცია „ჯეჯილისა“, მკითხველები და ღირსეული თანამშრომლები ისე მოექცევიან ამ ჟურნალს, როგორც საზოგადო საკუთრებას და არა კერძო კაცის კუთვნილებას. ამის შემდეგ ჩვენ იძულებული ვართ სხვა და სხვა გარემოების გამო ჯერ-ჯერობით შევწყვიტოდ ჟურნალ „ჯეჯილის“ შესახებ წერა. ჩვენი სურვილი და უმთავრესი აზრი იყო მიგვექცია ჩვენის საზოგადოების ყურადღება ისეთის საჭირო საქმისათვის, როგორიც არის საბავშვო მწერლობა. თუ ცოტად მაინც მივაღწიეთ ამ აზრს — ისიც სასარგებლოდ უნდა მიგვაჩნდეს.

ლ. ბოცვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსახილველად საქმე გორის მაზრის გლეხის ვასილ ხუტაშვილისა, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ 1898 წელს 17 იანვარს ცოლის ღალატით გაბრაზებულმა ორჯელ ესროლა რევოლვერი ცოლს და თავსა და ხელში დასკრა.

*** იმავე სასამართლოში 18 თებერვლისათვის დანიშნულია განსახილველად საქმე გაზ. „ახ. მიმ-“-ს თანამშრომლის სვედენცოვისა, რომელსაც ქალაქის მე-7 ნაწილის ბოქაული კაპიტანი ამბარდანოვი ბრალსა სდებს, გაზეთის შემწეობით ცილი დამწამაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**შულავერი,** (ბორჩალოს მაზრა). 24 იანვარს ნ. ყაზბეგის თაოსნობით წარმოდგენა იქმნა გამართული აქ ქართულ და რუსულ ენაზე. წარმოადგინეს ქართულად ცაგარლის ორ-მოქმედებიანი პიესა „ხაიმუში“ და რუსულად—კონსტანტინოვის ვოდევილი „Отбитая атака“. წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა. ხალხი ბლომად დასწრო და დიდად ნასიამოვნები დარჩა. ნ. ყაზბეგმა, რომელიც რეგაზ თავქარიანის როლს თამაშობდა, ისე ხელოვნურად შეასრულა თავისი როლი, რომ დიდ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება და, შეგვიძლია ვსთქვათ. გამოიჩინა ნიჭი მსახიობისა. ელისაბედის როლი უნაკლულოდ შეასრულა ტ. ყაზბეგისამ. კ. თოროზოვისამ (თალიკომ) ისე თამამად და მოხდენილად შეასრულა თავისი როლი, რომ დიდი ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილი გამოიწვია, მაგრამ შევნიშნავთ-კი, რომ სულ ტყუილად გამოტოვა რამდენიმე უფრო საინტერესო ადგილი თავისს როლში. დანარჩენებსაც არა უშავდათ-რა, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ გასპარა გარეგანის შეხედულობით უფრო ურიას ჰგავდა, ვიდრე სომეხ ვაჭარს.

რუსულ ვოდევილში გაიარსნად ითამაშეს ქალ. ს—ისამ და ზ. გერცოგმა. წარმოდგენის წმინდა შემოსავალი გადადებულ იქმნება დამშეულ რუსების სასარგებლოდ. შულავერში ქართველობა ბევრი არა გვართ და ქართული წარმოდგენა აქამდის არ გვინახავს. ამ პირველმა წარმოდგენამ იმდენად გვასიამოვნა, რომ არ შეიძლება დიდი მადლობა არ ვუძღვნათ წარმოდგენის მოთავეს ნ. ყაზბეგს.

მ. მურვანიშვილი

## უცხოეთი

—

**ავსტრო-უნგრეთი.** დარწმუნებით ლაპარაკობენ, რომ ავსტრიის ეხლანდელი სამინისტრო ჩქარა გადადგება სამსახურიდგანო. მინისტრ-პრეზიდენტის გრაფ ტუნის ადგილას ასახელებენ ეხლანდელ საერო განათლების მინისტრს გრაფ ბილანდტ-რეიდტს. რაც შეეხება ახალ კაბინეტის წევრებს, ამის შესახებ ამბობენ, რომ მმართველნი დაიჭერენ ადგილსო, გ. ი. ანტისემიტებისა, გერმანელ ლიბერალთა დასისა, სამხრეთ სლავიანთა კლუბისა, ჩეხელ მემამულეთა და პოლონელთა წარმომადგენელნი. როგორც ჰფიქრობენ, ახალი სამინისტრო უპირველეს ყოვლისა ენების შესახებ დადგენილ კანონის განხორციელებას შეუდგება. უნგრეთთან შეთანხმება, რომელიც ერთობ ეჩქარება იმპერატორს, მე-14 მუხლის ძალით მოხდება, რადგან პარლამენტის კრებები შემოდგომამდე უნდა გადაიდვას.

ეს ხმები თუ გამართლდა, იმპერატორს ორს ახალ სამინისტროსთან ექმნება საქმე, რადგან უნგრეთის მთავარ მინისტრის ბანფის გადადგომაც სამსახურიდგან აუცილებელია. უნგრელების მოწინავეს ნაწილს ძლიერ ეჩქარება ბანფის დამარცხება, რომელსაც აბრალებენ, რომ არჩევანების დროს ფულით და ძალ-მომრეობით აარჩევინა ხალხს მისი მომხრეები და ამ გვარის საშუალებით შეიძინა უმრავლესობა პარლამენტში.

—

**საფრანგეთი.** 20 იანვარს ესტერგაზის დაუტოვებია პარიჟი, სადაც დარჩენის ნება იმას ჰქონდა მანამდის, სანამ საკასაციო სასამართლოში ჩვენების მიცემას მოუნდებოდა დრეიფუსის საქმის შესახებ. როცა სასამართლოს ჩამოურთმევია ჩვენება, მაშინ ბრალმდებელს უცნობებია მისთვის, რომ 24 საათის შემდეგ შენს შესახებ გამოძიება უნდა განახლდესო. როცა ესტერგაზის წაუკითხნია იუსტიციის მინისტრის წერილი, უფროს ბრალმდებელთან გაგზავნილი, რომელშიაც ნაბრძანები იყო გამოძიების განახლება მის წინააღმდეგ, მას ბევრი მკვახე სიტყვა წარმოუთქვამს ზოგიერთ მინისტრის შესახებ. რადგან 24 საათი კიდევ რჩებოდა, და მოსალოდნელი იყო, მეორე დღეს დაეპატიმრებინათ, იგი იმავე საღამოს გაქცეულა პარიჟიდგან ბელგიაში.

—

**ბოლგარია.** ბოლგარიის ახალ სამინისტროს წევრების შესახებ საინტერესო ცნობებია გაზეთებში. 1881 წლიდგან აქეთ ნაჩევიჩი ხუთჯერ ყოფილა ფინანსთა მინისტრად, ერთჯერ—შინაგან საქმეთა მინისტრად და შემდეგ დიპლომატიურ აგენტად ვენაში. ამნაირად იგი უკანასკნელ 18 წლის განმავლობაში ეხლა მეშვიდეჯერ არის მინისტრად. მთავარ მინისტრი გრეკოვი იუსტიციის მინისტრად ყოფილა სობოლევ კაულბარსის სამინისტროში, გარეშე საქმეთა მინისტრად—სტამბულოვის დროს და შემდეგ საეროვნო კრების თავმჯდომარედ. რადოსლავოვი იუსტიციის მინისტრად ყოფილა კარაველოვის სამინისტროში, ალექსანდრე ბატენბერგის ტახტიდგან გადაყენების დროს—გარეშე საქმეთა მინისტრად და შემდეგ საეროვნო კრების თავმჯდომარედ—სტამბულოვის დროს. ტონჩევი—სტამბულოვის რეგენტობის დროს იუსტიციის მინისტრად ყოფილა და სტოილოვის დროს საერო განათლების მინისტრად.

—

**ამერიკა.** კუბის მეამბოხეებმა ჯამაგირი მოსთხოვეს შეერთებულ შტატების მთავრობას. ამ უკანასკნელს 3 მილიონი დოლარი შეუძლევია მათთვის. მხედართ მთავრებს ძლიერ უცოტავნიათ ეს ფული და ხელი არ მოუკიდნიათ. შეერთებულ შტატების მთავრობას დაუდგენია ეხლა, მიეცეთ კუბელ მეამბოხეებს 15 მილიონი დოლარი და მეტიც,—ერთის სიტყვით იმდენი, რამდენსაც მოითხოვენ. შტატებს გარდაწყვეტილი აქვს, დანახარჯი შეივსოს კუბის შემოსავლიდგან, და ამიტომ რასაც მეტს მისცემს ეხლა კუბელ მეამბოხეებს, მისთვის უმჯობესია, რადგან მით უფრო დიდხანს გასტანს კუნძულის ოკუპაცია.

## თეატრის მატიანე

„კონსტანტინე ბატონიშვილი“, დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად ალექსანდრე ყაზბეგისა.

ხუთშაბათს, 28 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა არტისტის ბ-ნ ს. სვიმონიძის საბენეფისოდ წარმოადგინა დიდის ხნის დაწერილი და მხოლოდ დღეს პირველად ნებადართული წარმოსადგენად „კონსტანტინე ბატონიშვილი“ („წამება ქეთევან დედოფლისა“), დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად, თხზულება ჩვენის ნიჭიერის მწერლის, აწ განსვენებულის, ალექსანდრე ყაზბეგისა.

ეს დრამა ჩვენის სასიქადულო მწერლისა ისტორიულია, ისტორიულია, რადგან მომქმედნი დრამისანი ისტორიულის სახელებით არიან წოდებულნი—ქეთევან დედოფალი, კონსტანტინე ბატონიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, შაჰ-აბაზი და სხვანი; ამას გარდა, თვით დრამის არაკადაც ისტორიული შემთხვევაა აღებული—წამება ქეთევან დედოფლისა, კონსტანტინე ბატონიშვილის მიერ მართლ-მადიდებლობიდგან გადადგომა და მამისა და ძმის მოკვლა, ომი ქართველთა და სპარსთა შორის და სხვ.

ამ მხრივ იგი ისტორიულია, თუმცა ნურავინ იფიქრებს, რომ არაკი დრამისა და საქართველოს მატიანე სავსებით უდრიდეს ერთმანეთს. პირიქით, ავტორი ხშირად ჰღალატობს ისტორიას და მოგვითხრობს იმას, რაც ისტორიაში სრულიად არა ყოფილა. მაგალითებრ, თუ ჩვენს მატიანეს დავეკითხეთ, დავრწმუნდებით, რომ როდესაც გამაჰმადიანებული კონსტანტინე ბატონიშვილი მოვიდა და მასთან სიხარულით მისულნი მისაგებებლად მშობელი მამა და ძმა დაახოცვინა, მაშინ ცამეტთოთხმეტის წლის თეიმურაზ ბატონიშვილი შაჰთან იყო; კონსტანტინე ბატონიშვილი შაჰის ხელით-კი არ მოკვდა, როგორც დრამის უკანასკნელს სურათშია, არამედ იგი მისის საზიზღარის საქციელით გამძვინვარებულმა კახელებმა მოჰკლეს საქართველოში 1605 წელს და შაჰ-აბაზს რომ მიუვიდა კონსტანტინეს სიკვდილის ამბავი, ვითომ გაუხარდა კიდეც და სთქვა: „ეგრე ჯერ არს მამის მკვლელისათვისაო“. იმავე შაჰმა კახეთის მეფობა ქეთევან დედოფლის შვილს თეიმურაზს მისცა და გამოისტუმრა. მართალი არ არის პიესაში ისიც, ვითომ ქეთევან დედოფლის სიყვარულით ჩაედინოს კონსტანტინე ბატონიშვილს თავისი საზიზღარი საქციელი, თუმცა აწისი ცოლად შერთვა-კი მოიწადინა, არამედ მას მხოლოდ დიდების სიყვარული—კახეთის მეფედ გახდომის სურვილი ამოქმედებდა და სხვა არა-რა. დასასრულ ქეთევან დედოფლის წამებასა (13 სექტემბერი 1624 წლისა) და თეიმურაზის საქართველოში დაბრუნებას შუა 19—20 წელმა გაიარა, მას შემდეგ ბევრჯელ მოუხდათ ქართველებსა და სპარსებს ომი, მაგრამ ავტორს კონსტანტინე ბატონიშვილის საქართველოში შემოსვლა და ქეთევანის წამების ამბავი გადაკვანძული აქვს, თითქოს ერთი მეორეს მოსდევსო.

ჩვენ აქ განზრახვა არა გვაქვს დაწვრილებით აღვნიშნოთ ყოველი ის წვლილი, რაშიაც არ ეთანხმება დრამა ისტორიას. ეს ორიოდე გარემოება დავასახელეთ მხოლოდ იმის სათქმელად, რომ დრამა „წამება ქეთევან დედოფლისა“, ანუ, როგორც ეხლა გადანათლულია, „კონსტანტინე ბატონიშვილი“ უტყუარს ისტორიულს ამბავს არ შეიცავს? ანრა საჭიროა, რომ შეიცავდეს. პოეტი, დრამატურგი ისტორიკოსი არ არის, ვინაიდგან ისტორიკოსი გადმოგვცემს ყოფილს, მომხდარს ამბავს, ხოლო დრამატურგი იმას, რაც შეიძლება იყოს, რაც მოსახდენად შესაძლებელია. დრამატურგი მხოლოდ იმდენად უნდა ჰზრუნავდეს ისტორიულის მართალის დაცვას, რამდენადაც ეს მართალი მოუხდება მის მიერ შეთხზულს არაკს.

ამ გვარად, ეს ნაკლი—გადაცდენა ისტორიულ სიმართლიდგან ცოდვად არ ჩაეთვლება მწერალს, მით უმეტეს, რომ უმთავრესი გარემოებანი არაკისა ისტორიულია—წამება ქეთევან დედოფლისა, კონსტანტინე ბატონიშვილის საქციელი და სხ. და, ამას გარდა, არც ხასიათების აღნიშვნასა ჰღალატობს ავტორი—შაჰ აბაზი მართლა ისეთი გულ-ქვა და სისხლისმღვრელი, ვერაგი კაცია, როგორც ისტორია აღგვიწერს, კონსტანტინე ბატონიშვილი ხასიათით არა ჰღალატობს ისტორიას, თუმცა დრამის განსაცხოველებლად ავტორმა იმასა (და იმასთან ერთად ქაიხოსრო ომანიშვილსაკ) ქეთევან დედოფლის სიყვარული ჩაუნერგა; ასეთივე სიყვარული აღუძრა შაჰ-აბაზსაც, თუმცა ისტორიით შაჰი აკვლევინებს ქეთევანს იმიტომ-კი არა, რატომ ცოლად არ მომდევო, არამედ ქართველთა ბრძოლაში გამარჯვებით ბრაზ-მორევისა გამო და იმიტომაც, რომ ქეთევანმა არ უარ-ჰყო ქრისტეს სარწმუნოება.

საქმე ის არის, ჰბრწყინავს დრამის ყოველის სხვა სიკეთით ეს პიესა თუ არა? ამ მხრივ მის ღირსებად აღსანიშნავია მოქმედების სწრაფი სვლა, მაყურებლის ყურადღების სავსებით შეპყრობა და ინტერესის თანდათანი გაძლიერება ქეთევან დედოფლის წამებამდე. ამას გარდა, დრამა კეთილშობილ გრძნობათ აღუძრავს მკითხველს, გულს ულმობიერებს, და ეს ხომ ერთი ძირეული მოთხოვნილებაა დრამატიულ ნაწარმოებისა. დრამაში მშვენივრად არის დახასიათებულ-აწერილი ჩვენებური დღეობა, ლხინი, თამაში, ჭიდაობა, ხევსურნი და სხვანი. ერთის სიტყვით, „წამება ქეთევან დედოფლისა“ ერთი საუკეთესო დრამატიული ნაწარმოებია ქართულს ლიტერატურაში და იგი სასიამოვნო საყურებელიც იქნება სცენაზედ, თუ... თუ ჯეროვნად იქნა მოწყობილი და წარმოდგენილი.

როგორ წარმოადგინეს იგი წარსულს ხუთშაბათს? ვიდრე მომქმედთა როლების აღმასრულებლების შესახებ ვიტყოდეთ რასმე, გულის წყრომით უნდა აღვნიშნოთ უხამსი საქციელი ჩვენის ქართულის სცენის გამგეთა. ეს უხამსობა ის მოურიდებელი, ის წათამამებული შეკვეცა და შეკრეჭაა დრამატიულის ნაწარმოებისა, როგორც ისინი შეჰკვეც-შეჰკრეჭავენ ხოლმე. მაგალითებრ, „ქეთევან დედოფლის წამება“-ში გამოტოვებულია პირველს მოქმედებაში ნახევარი—გამოსვლა 4, 5, 6 და 7 (ალავერდობის დღესასწაული, ჯამუხასა და ბერდიას შეკინკლავება, ბურთაობა, ჭიდაობის შესახებ ბაასი და განსაკუთრებით ქაიხოსროს და გორჯასპის ბაასი, რომლიდგანაც გამომჟღავნდება რომ ქაიხოსროს დედოფალი უყვარს*), მეორე მოქმედებაში, 1, 2, 3 და 4 გამოსვლა (მთელი სცენა, რომელშიაც ირკვევა, რომ ქაიხოსროს დედოფლის მიმართ სიყვარული თვით ქეთევანსაც აქვს შემჩნეული), მესამე მოქმედება ორ სურათად არის და ჩვენს სცენაზედ გამოტოვებული იყო მთელი პირველი სურათი (სპარსების ბანაკი), მეოთხე მოქმედებაში გამოტოვებულია კონსტანტინე ბატონიშვილისა და მუსტაფას ბაასი, მეხუთე მოქმედებაში—ლაპარაკი ქეთევან-დედოფლისა და ბერისა, უკანასკნელი მონოლოგი კონსტანტინე ბატონიშვილისა და აპოთეოსიც იმგვარად არ იყო გამართული, როგორც ავტორი ასწერს: სცენა წარმოადგენს აღგზნებულს კოცონს და ზედ არიან ქეთევან დედოფალი და ქაიხოსრო. ქეთევან დედოფალი თეთრს ტანისამოსში, თმა-გაშლილი დაჩოქილი სდგას, ზეცისთვის მიუპყრია თვალები და ხელები გულზედ დაუწყვია. ქაიხოსრო ცალს მუხლზედ დაჩოქილა, მოწიწებით თავი დაუხრია. ზევიდგან ჩამოდის ღრუბელი, რომელზედაც შუა ადგილას ვარსკვლავების გვირგვინია. ეს გვირგვინი აქეთ-იქიდგან წმ. ნინოს და თამარ მეფეს უჭირავთ ქეთევანის თავზედ. აი ღირსეული და დრამის შინაარსის ჭეშმარიტად შესაფერი აპოთეოსი. ამის ნაცვლად გაჰმართეს აპოთეოსი, ნამოქმედარი ჩვენის სცენის რეჟისორისა და არა ა. ყაზბეგისა.

ამ გვარად შეკრეჭილ-შეკვეცილი პიესა, რაღა თქმა უნდა, დამახინჯდა, გვერდები ჩამოეცალა, თუმცა ასე დამახინჯებულიც-კი ბევრს მოეწონა. მაინც საკითხავია,—აქვთ უფლება ჩვენის სცენის დევ-გმირთ პიესის ასე გახეიბრებისა და რას აკეთებენ დრამატიულის კომიტეტის წევრნი, რომელნიც უკლებლისად ესწრებიან წარმოდგენას?!.. ნუ თუ არასოდეს მოელება ბოლო პიესების ასე თვით-ნებისად დამახინჯებას და ნუ თუ შესანდობარია, რომ ნიჭის ამა თუ იმ ხელოვანს ნამოქმედარს რომელმამე უნიჭო და არა ხელოვანმა არტისტმა კარანდაში გადაუსვას და გაანახევარ-გაამესამედ-გადაასხვაფეროს?!.

თვით მოწყობილება სცენისა და პიესისა? სასაცილოა, რომ მეტი არ ითქვას. თორმეტის წლის ბალღნი, დაგლეჯილს, დასვრილს ქულაჯა-წაღებში გამოწყობილნი ქეთევან დედოფლის მეფის კარს მყოფ „დიდებულებად“ გარდაქცეულან; ჯარისკაცებს ზედა ტან-საცმელი ხევსურული აცვიათ, ქვედა-იტალიანური და ქუდი ოსმალური ჰხურავთ. დედოფალს ერთად ერთი თან-მხლებელი ქალი ჰყავს მარიამი და ისიც ისეთი უცნაური, რომ როდესაც მეფე დავითისა და ალექსანდრე ბატონიშვილის სიკვდილის ამბავი მოვა და ქეთევანი მძიმე ძაძებშია, მარიამი, ეს დედოფალთან შეზრდილი ყმაწვილი ქალი, ლურჯის სარტყელ გულისპირი-

---

*) ჩვენ აქ უადგილობისა გამო დაწვრილებით ვერ აღვნიშნავთ პიესის შინაარსს, მსურველს შეუძლიან წაიკითხოს იგი ჟურნალს „ივერია“-ში 1893 წ. №№ 4, 5 და 6 და 7 და 8.

თა და მხიარულის კაზით დასეირნობს სცენაზედ. ან სხვა მხლებელნი ქალნი ვეღარ მოუძებნეს ქეთევანს?... სცენიდგან ხშირად მოისმის საზოგადოებაში რეჟისორ-სუფლიორის მაღალი ხმა: „გადით!“, „შემოდით!“, თითქოს რეპეტიცია იყოს და არა წარმოდგენაო.

განსაკუთრებით შესაბრალისი და სასაცილო იყო უკანასკნელი სცენა, ლაპარაკი შაჰსა და კონსტანტინე ბატონიშვილს შორის. პიესით შაჰს მრავალი მხლებელი არტყია გარს, შემოდის თუ არა საპატიმროში, იგი აჭერინებს კონსტანტინეს და დაჭერილს ელაპარაკება. წარმოდგენაზედ პაწია დაშნის მქონე შაჰი მრისხანედ ელაპარაკება კონსტანტინეს, ჰკიცხავს, სარწმუნოების მოღალატეს, მამისა და ძმის სისხლში განბანილს უწოდებს, ჰყვირის,—შეიპყარითო, მაგრამ ჩამი ჩუმი არ ისმის, შემპყრობელი არავინა სჩანს, შაჰი კონსტანტინე ბატონიშვილის ხელშია და იმის ნაცვლად, რომ კონსტანტინემ მოჰკლას შაჰი, დაარჩოს, გული გაუგმიროს ამ მისის სატრფიალოს—ქეთევან დედოფლის მტარვალს, თავისს მოღალატეს, მით უმეტესს, რომ თითონ ხსნის, გადარჩენის იმედი არა აქვს (კონსტანტინეს ასეთს საქციელს მაყურებელი ყოველ წუთს მოელის), იგი იჩოქებს დიაცსავით და ეხვეწება, ცრემლსა ჰღვრის; შაჰი იშიშვლებს დაშნას და მოჰკლავს კონსტანტინეს, რომელიც არც-კი შეებრძოლება.

ეს უხამსი სცენა-კი უხამსია მხოლოდ წარმოდგენის გამმართველთა და მომწყობელთა მიერ გაუხამსოებისა გამო. შაჰს რომ მრავლად ჰხვეოდა მხლებლები და კონსტანტინე შეპყრობილი ჰყოლოდა, მაშინ იგი აღარ მოიუხამსებდა და გულნაკლული მაყურებელ-მსმენელი ავტორს აღარ დაამიზეზებდა ამ უხამსის სცენის უგუნურებას. ეს უგუნურება თავიდგან ბოლომდე ჩვენის ქართულის სცენის მმართველთა ნაყოფია და იმათ უნდა დაელოცოს.

ასე გამართული წარმოდგენა, რაღა თქმა უნდა, პიესას ღირსებას გაუნახევრებდა, და გაუნახევრა კიდეც, თუმცა, ამისდა მიუხედავად, დრამა, როგორცა ვთქვით, მაინც ბევრს მოეწონა.

რაც შეეხება როლების აღსრულებას, არტისტები სინიდისიერად მოჰკიდებოდნენ თავიანთს მოვალეობას. განსაკუთრებით კარგი იყო ქ-ნი ეფ. მესხი, რომელსაც დიდად ღირსეულად ეჭირა თავი და მეორე მოქმედების დასასრულს საუცხოოდ წარმოსთქვა ვედრება ღვთის-მშობლის მიმართ, ლექსად დაწერილი. ეს ლექსი ისე კარგად იყო წაკითხული, რომ ბევრს თეატრში მყოფს თვალებში ცრემლი მოერია. თვით მობენეფისე ბ-ნი სვიმონიძე ქაიხოსრო ომანიშვილის როლს ასრულებდა, მაგრამ ისე იყო ეს როლი შეკრეჭილი, რომ აღსასრულებელი აღარა დარჩენოდა-რა. სინიდისიერადვე მოჰკიდებოდნენ თავიანთ როლებს ბ-ნნი კ. ყიფიანი (კონსტანტინე ბატონიშვილი), გედევანოვი (შაჰ-აბაზი), შათირიშვილი (გორჯასპ-არაბული)...

წარმოდგენას დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო, ასე რომ მრავალნი ფეხზედ იდგნენ უადგილობის გამო.

ა. ახნაზაროვი

---

## ა. ი. ჯავახიშვილის მიერ გამოგონილი მანქანა.

რუსულ ჟურნალში „Электротехникъ“-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი ბ-ნ ჯავახიშვილის ახალ გამოგონების შესახებ. წერილს თანა აქვს დაყოლებული გეგმა ახლად გამოგონილის მანქანისა. ჩვენ აქ მხოლოდ მოკლედ მოვიხსენიებთ ამ წერილის შინაარს, ხოლო მანქანას დაწვრილებით არ ავწერთ. თუმცა ეს მანქანა მეტად მარტივია, მაგრამ იმისი აღწერა მაინც ძნელია, თუ მკითხველს წინ არ ექმნება დახატული გეგმა.

ყველამ კარგად იცის, რომ რკინის გზის მიმოსვლისათვის თავდაპირველად საჭიროა კაცი დარწმუნებული იყოს, რომ არავითარი შიში არ მოელის გზაში. რაღა თქმა უნდა, რომ უპირველესი შიში ის არის, ერთი მატარებელი მეორეს არ დაეჯახოს და არ დაიმტვრეს. ამ უბედურების აცილებაზედ მიქცეულია ყოველივე ყურადღება რკინის გზის სადგურების უფროსებისა და ტელეგრაფის მოხელეებისა. საზოგადოდ, ვიდრე სადგურიდგან მეორეზე მატარებელს გაჰგზავნის უფროსი, ოთხი დეპეშა იგზავნება. პირველი: „შემიძლიან, თუ არა მატარებელი გამოვგზავნო?“ მეორე—პასუხი ამ დეპეშისა: „დიახ, ველოდები“. მესამე: „მატარებელი წამოვიდა“. მეოთხე: „მატარებელი მოვიდა“.

ამ გვარი საშუალება მატარებლების ერთმანეთის ასაცილებლად საკმარისი არ არის, რადგანაც ხანდახან ტელეგრაფის მოხელეები სწორედ არ გადასცემენ ხოლმე დეპეშებს, ან სადგურის უფროსები ერთმანეთისას ვერ გაიგებენ.

ზოგიერთ რკინის გზებზე სადგურების უფროსები ათას საშუალებასა ხმარობენ, რომ აცდინონ მატარებლების ერთმანეთზე დაჯახება, მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ არის და ბევრნი სცდილობდნენ გამოეგონათ ისეთი საშუალება, რომლითაც მატარებლის წასვლა სცოდნოდათ არა მარტო ტელეგრაფის მოხელეებსა და სადგურების უფროსებს, არამედ მატარებლის მემანქანესაც, კონდუქტორებსაც და გზის დარაჯებსაც.

ამ გვარ საშუალების საჭიროება შეგნებული იყო თითქმის იმ დღიდგან, როდესაც რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა დაიწყო და მეტად მრავალი საშუალებაც იყო გამოგონილი. მაგრამ ყველაზედ უფრო კარგი, მოხერხებული და იაფი საშუალება არის ახლად გამოგონილი ბ-ნის ა. ი. ჯავახიშვილის მიერ. ზემოხსენებული ჟურნალი სწერს:

ბ-ნ ჯავახიშვილის მიერ გამოგონილი მანქანა მატარებლების ერთმანერთის ასაცდენად არა თუ ყოველსავე იმ ღირსებით არის შემკული, რომელიც სხვა მანქანებსა აქვთ, არამედ შემდეგი უპირატესობაც მოეპოვება. ეს მანქანა იმდენად მარტივია, რომ სულ უბრალო მუშას შეუძლიან იმისი ხმარება. გარდა ამისა, მანქანა არა ფუჭდება, ასე რომ არც ხშირად უნდა შეკეთება. თვით მანქანა ისეა გამართული, რომ არც სინესტეს იკარებს. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ მანქანის პედალი რელსებზე მიმაგრებული ძლიერ პატარაა, უცხო კაცი ვერც-კი შეამჩნევს და მაშასადამე არც ბოროტ-გამზრახველ კაცთაგან არის შიში, რომ არ გააფუჭონ.

ჯავახიშვილის მანქანა გამართეს 1897 წლის ოქტომბერში პეტერბურგისა და ვარშავის შორის რკინის გზაზე. მანქანა მთელის წლის განმავლობაში საუცხოვოდ ასრულებდა თავისს დანიშნულებას.

---

# დეპეშა

28 იანვარი.

**კონსტანტინეპოლი.** იპეკში მომხდარ ალბანიის მამასახლისთა ყრილობის შესახებ იუწყებიან, რომ მამასახლისებმა იკისრეს, იმ შემთხვევაში, თუ არეულობა მოხდება, გამოიყვანონ 17,000-დგან 20,000-მდე კაცი, ხოლო თუ დიდი ომი მოხდა, ეს რიცხვი 200,000 აიყვანონ. მოლლა ტელლიმ განაცხადა, რომ თუ ომი მოხდა, სამის დღის განმავლობაში მომზადებული იქმნება იარაღი სულთანისათვისაო.

**ვაშინგტონი.** გენერალი ოტისი დეპეშით იუწყება, რომ აგვინალდო სცდილობს ამერიკის ჯარის მთავარსარდალთან მოლაპარაკება მოახდინოსო.

**პარიჟი.** მარშანის მისსია 11 იანვარს მშვიდობით მოვიდა იტიოგში და ადისაბედში წავიდა.

**ტანანარივა.** ზოამები მიიღეს, რათა კუნძულ მავრიკიდგან სხვა ადგილას არავის შეეძლოს წასვლა, რადგანაც ამ კუნძულზედ რამდენიმე კაცი გახდა ავად შავის ჭირით. ტამატავში ერთი კაცი გახდა ავად 26 იანვარს.

**სოფია.** დილას დედოფლის გვამი სამგლოვიარო ვაგონში გადაიტანეს და განსაკუთრებულის მატარებლით ფილიპპოპოლში წაიღეს. თან გაჰყვნენ: მთავარი, პრინცი ლეოპოლდი, მინისტრები, უმაღლესი მოხელენი. საღამოთი ყველანი სოფიაში დაბრუნდებიან.

**პარიჟი.** მოხსენება რენო მორლიერისა მაზოს გამოძიების საბუთის ქაღალდებით დეპუტატებს დაურიგეს. მოხსენება უარ-ჰყოფს მთავრობის პროექტს.

**ლონდონი.** ქვემო პალატა. დიდი კამათი გამოიწვია ბჭობამ სეფე სიტყვის პასუხად ადრესის შედგენის შესახებ. ბარტლეტმა განაცხადა, რაც შეიძლება მალე საჭირო ღონისძიებანი ვიხმაროთ ჩინეთის დასახმარებლად და დავიცვათ ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით მანჯურიისა. ვალტონმა სთქვა, მსურს ვიცოდე, მიჰმართა რამ საშუალებას მთავრობამ, რათა პეკინ-ჰანკოუს ხელშეკრულებაში ჩართული იყოს ის პირობები, რომლებიც რუსეთმა იძულებულ ჰყო ჩინეთი ნიუჩვანის გზის კონცესიისათვის. ეს ძლიერ საჭიროა იმისთვის, რომ არც ერთს დიდს სახელმწიფოს არ შეეძლოს იანცეს პროვინციაში შეეცილოს ინგლისის საქმეს.

**ლონდონი.** ქვემო პალატა. იებურგმა განაცხადა თვისი სიხარული იმის გამო, რომ მთავრობა სცდილობს მოურიგდეს რუსეთს ჩინეთის შესახებ. ბროდრე-კი წინააღმდეგია ბარტლეტის აზრისა. მთავრობას შეგნებული აქვს ჩინეთში ბრიტანიის ინტერესების დაცვის საჭიროება. მაგრამ ბრიტანიის ინტერესების დაცვა, დახმარება ბრიტანიის ვაჭრობისა და განხორციელება ბრიტანიის სურვილისა არ მოხერხდება იმ სიტყვების წარმოთქმით, რომლებიც გამსჭვალულნი არიან სხვა სახელმწიფოთადმი მტრობით. აქამდე ისეთი აზრი სუფევდა, რომ ინგლისს ჩინეთიდგან განაძევებენო. მაგრამ 1898 წლის იანვრიდგან ყოველივე მეტი გამარჯვება ჰქონდა ინგლისს კონცესიებისა და ვაჭრობის მხრივ. თანხმობას ჩინეთის იანცეს პროვინციის შესახებ ისე უყურებენ, როგორც მეტად დიდ მნიშვნელოვან საქმეს. მთავრობას განზრახვა აქვს დაავალოს აფიცრებს გასინჯონ ხეობა და აგრეთვე გამოიკვლიონ, რა მანძილზე შეიძლება გემების სიარული. 19 ახალი სადგური უკვე გაიმართა ან გაიმართება ერთის ორის თვის განმავლობაში. ამ დღეებში ნებას მისცემენ ნანკინში გემების მისვლას: ამით ინგლისს გზა გაეხსნება დასავლეთ მდინარეზე რამდენისამე მილის მანძილზე. გარდა ამისა გერმანიისა და რუსეთის მიერ დაჭერილი ნავთ-სადგურებიც ღიაა პირობის ძალით. ინგლისის კონცესიონერებმა უნდა გამართონ 2,800 მილის სიგძის რკინის გზები. ამ საქმეს დასჭირდება 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი. სრულიად არ უნდა გვიკვირდეს ის ამბავი, რომ ძუნგლი-იამენმა გამოსთქვა, ვიდრე ამ გზების გაკეთება არ დამთავრდება, სხვა კონცესიას არავის მივცემთო. ინგლისის მთავრობის სურვილია, რომ ადგილი არავის მიეცეს, მაგრამ ინგლისის მთავრობას საქმე აქვს ისეთს მთავრობასთან, რომელსაც ვერ დაუცავს თვისის ადგილების ნაწილიც. ასეა თუ ისე, ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ჯეროვანად დაიცვას თვისი ინტერესები და თვისი სახელი. ედვარდ გრეი თანხმაა რუსეთთან შეთანხმებისა. გრეიმა სთქვა, იმედი მაქვს ორ თავე სახელმწიფო დარწმუნდა, რომ ამ შეთანხმებისათვის მეტი გულახდილობაა საჭირო. ბარტლეტის აზრი არ იქმნა შეწყნარებული და კამათობა მოისპო.

29 იანვარი

**პარიჟი.** ერთმა დასმა დეპუტატებისამ, რომელთა შორის არიან დეკრე, ბარტუ, პუანკარე, ბურჟუა, ბრისონი, სარრიენი, მეზიურერი, პელტანი, მილიერანი,—გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებენ, რომ წინააღმდეგობას გავუწევთ მთავრობის პროექტს, რომლითაც განზრახვა აქვთ, დრეიფუსის საქმე სისხლის სამართლის პალატას ხელიდგან გამოაცალოსო. გამოძიებამ გამოააშკარავა, რომ მართალი არა ყოფილა ის ბრალდებანი, რომელსაც ამ პალატასა სდებდნენო. ეს საქმე რომ სისხლის სამართლის პალატას გამოაცალოს, ეს იმას მოასწავებს, რომ მართლ-მსაჯულება დიფამაციას ჩაუვარდეს ხელში. ასეთი კანონი ძალ-მომრეობა იქნება და ვერც ჩამოაგდებს თანხმობას, მერე ეხლა, როდესაც რესპუბლიკელთა ერთობა აუცილებლად საჭიროაო.

---

## წერილი ქ. ქუთაისის სააბრეშუმო ამხანაგობის გამგეობის მიმართ.

ქ. ქუთაისის მეაბრეშუმე ამხანაგობის უფლებანი დიდი ხანია აღდგენილ იქმნა და ბრძოლაც ბ-ნ ანჯაფარიძესთან გათავდა. ამ ბრძოლის დროს გამგეობა საზოგადოების ქონების დასაცველად თავსა სდებდა, დღეს-კი თვით ამავე გამგეობის დაუდევრობის წყალობით იფლანგება ის მცირე თანხა, რომელიც გამგეობას ებარა საწარმოებლად, უმოქმედობითა ჰქრება. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან საფეიქრო დაკეტილია და ქირას ვიხდით სადგომისას, ორის დარაჯის და სხვა მსახურთათვის. წარმოების განახლება თუ აღარ შეიძლება, საქმის სამუდამოდ მოსპობა ხომ მაინც ადვილია, და რატომ არ ინებებს გამგეობა ან ერთსა და ან მეორესა?! რა მიზეზია, რომ გამგეობა არ იწვევს საზოგადო კრებას და ამ საქმეს დასასრულს არ აძლევს?! ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამგეობა ვალდებულია ანგარიში წარმოუდგინოს საზოგადოებას თავისის მოქმედებისა. ამ ამხანაგობის წესდება, საქმის ვითარება და დამაარსებელნი წევრნი თხოულობენ საზოგადო კრებას და ანგარიშს გამგეობისაგან და ეს დალოცვილები-კი ყურსაც არ იბერტყენ. რა მიზეზი და საბუთია?!.

ამხანაგობის წევრი მიტროფანე ლაღიძე

---


## განცხადებანი

ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ.
ВЫСОКІЯ ДОСТОИНСТВА НАШИХЪ ИЗОБРѢТЕНІЙ:
Цвѣточнаго о-де-колона,
Глицериновой пудры,
усовершенствов. Глицериноваго мыла
и парфюмеріи „Персидская сирень“,
вызываютъ массу подражателей, что и вынуждаетъ насъ просить гг. покупателей обращать вниманіе на нашу фабричную марку и фирму.
БиК° БиК° БРОКАРЪ и К° ВЪ МОСКВѢ. ФАБРИЧН. ШТЕМПЕЛЬ УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛ. 1864 г. 1864 г.
(11—მ.—7)

სურდოს წამალი
ოლფაქტორიუმ ნუდილინი
მ. ნ. ქიმუნსკისა
ისყიდება 40 კაპეიკად ყველა აფთექებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (12—7)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!
ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლის საპონი
გ. ფ. იურგენსისა
აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისას, ეს საპონი იხმარონ.
ოქროს მედალი 1895 წ.
ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.
იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.
პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან. (24—მ.—3)

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება
ცხოვრება ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოსი
გადმოღებული ქართულიდამვე მდაბიურად მ. შარაძის მიერ, გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამიძისაგან.
ფასი ერთი შაური.


Дозволено цензурою, Тифлисъ 28 го Января 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე